№ 9—1917
კვირა 26 თებერ.

მეხუთე წელი
ფასი
გამოცემისა 15 კ.

† მ. რომანიშვილისა

სცენის მოყვარე. გარდაიცვალა კავთიხევში და იქავე ჰკრძალავენ დღეს. სახალხო სცენის უანგარო მუშაკი იყო

გლეხი იაგორ ბოლქვაძე ამხანაგებში

ზარხიანი იაგორი, ჩაქურად გურიის მოძრაობის ბელადი ბენია ჩხიკვიშვილი, შემდეგი—გიორგი შილაკაძე (ორი უკანასკნელი საუკუნოდ გადასახლეს ციმბირს) (იხ, ამავე ნომერში წერილი „გლეხი მებრძოლი“)

შინაარსი:

1, **მეთაური**—საკუთარ ჯკუით საკუთარ ფეხზე (წ.-კ. ს. კ. კამო)
2, **დ. მესხი** ახირებული დდიური
3, **ი. გომართელი**—I კდ. კუბე
4, **სოფ. მგალობლიშვილი**—ქართული ეკლესია და ხამდგდ.
5 **დ კილოსანიძე**--სიმარ. წუურ.
6 **ა ბერეკაშვ.**—ოოგელი ჩემთ.
7. **მეგობარი** მებრძოდი კლეხი.
8, **კ. ძიძაძე**—შენ!
9, **ბ. გორდეზიანი**—წუთი სოფ.
10, **მ. ბოჭორიშვლი**— ენების ბრწყალებში (მეოთხე მოქ.)
11 **შ. მოლაშვ.**—ფარუა სეფდ.
12, **ვანო ბარველი**—* *
13, **ილო**—„ეიშ! ქა!“
14, **ე. კ-ი**—დრო ბინს მოგიდეო

თებერვლის 26

საკუთარ ჭკუით საკუთარ ფეხზე
(წერა-კითხვის საზ-ის კრების გამო)

ჩვენებურ საზოგადოებრივ ჯგუფთა ძალდები კიდევ დაიძაგრა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელებელ საზოგადოების თბილისის განყოფილების არჩევნების ირგვლივ ამოძრავდა ხალხი.

არჩევის ახსოვს, ხალხი ასე მხურვალედ მოჭიდებოდეს წერა-კითხვის საზოგადოების კრებებს.

ალბად ქართველმა ხალხმა უკვე შეიგნო, რომ ერის ცხოვრების წინ წასაწევად წერა-კითხვის გავრცელებას—ხალხში ცოდნის ს ხიფის შეტანას—დიდი მნიშვნელობა აქვს და ამ საქმის მოწესრიგებას თითონ ცდილობს.

ეს მეტად სასიხარულო მოვლენაა...

მაგრამ ის კი სამწუხაროა, რომ ამ უპარტიო საქმის გარეშემო შენ-ჩემობა გაჩნდეს.

ზოგიერთი გაზეთის ხელმძღვანელი სიტყვით რო იძახის, პარტიულობა არ გვინდაო, საქმით სწორედ პარტიულად ირჯება და მოწინააღმდეგე ბანაკს მიწასთან ასწორებს...

არ არის კარგი!

დროა ხალხის მესვეურებმა ასეთ წმინდა საქმეში მაინც გამოიჩინონ შორს გამჭვრეტელობა და მთელი ჩვენი დაბეჩავებულ, წყვდიადით მოცულ ხალხის საერთო საჭიროება პარტიულ ყინაანობაზე მაღლა დააყენონ

იყვნენ გულწრფელნი და შემწყნარენი...

რომელიღაც ალმოსანმა სოქვა—ანბანი პარტიული არ არისო.

სრული ჭეშმარიტებაა თუ ჯგუფთა მესვეურებს ეს არა აქვთ გათვალისწინებული, თვით ხალხის შეგნებულმა შვილებმა, თვით დემოკრატიამ უნდა გაითვალისწინოს და გამგეობაში აირჩიოს უანგარო მუშაკნი, დაე, თუნდა იგინი რწმენით სხვა და სხვა მიმართულების მისდევდენ. .

ამ საქმეში ერთ ერთ ჯგუფის გამარჯვება სასურველი არაა...

სხვა და სხვა მიმართულების წარმომადგენელთაგან შემდგარი გამგეობა უფრო ცხოველმოფფელიც იქნება...

ხალხის კულტურულად დაწინაურება ყველა ჭეშმარიტი დემოკრატისთვის ერთნაირად ძვირფასია.

მაშ მიეცეთ საშუალება, ყველა ემსახუროს იმ წმინდა საქმეს, რომელსაც ეწოდება—ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელება...

ასეთი გამგეობის არჩევა-კი შეუძლიან საკუთარი ჭკუით მოაზრე კაცს, საკუთარ ფეხზე მდგომს...

„ახირებული დღიური“

ოთხშაბათი.

დღეს სიხარულმა ამიტაცა:—გაზეთებში წავიკითხე ცნობა—აქიმმა მეიფარიანმა განუცხადა გიმნაზიის მთავრობას—ქართული ენის სწავლებისგან გაათავისუფლეთ ჩემი შვილებიო, ეს ენა მეტი ბარგია მათთვისაო...

და უზომოთ მეწყინა, რომ გიმნაზიის მთავრობას არ შეუწყნარებია ადესიდან ვიდრე ბაქომდი ცნობილის ქართველი აქიმბაშის მუდარა.

რაც უფრო ადრე და კარგად გავიხვეწებით—აჯობებს. ერი რა თავში იხლის ასეთ პირებს! განგებამ—უკეთმართმა თუ წალმართმა აგონა— და ჩააგონა მშობელი კერის უარყოფა, სხვისი მიკედლება.. ია და ვარდი ფენია. ყველა წარმართი რომ დროით მოგვშორდეს, უფრო წალმართი გავხდებით.

მარა ვინ შეივრდომებს ჩვენს მათხოვარს?

აკი არ მიიღეს!

ჩვენი გლახა ისევ ჩვენ უნდა შევინახოთ...

კარგია, საფრთხობელათ გამოგვადგება:—კეთილმა მშობლებმა თითით უნდა უჩვენონ მათზე შვილებს:

— აი, გმირი, რომელსაც თავი თვისი თვით დაუკარგავს, ახლა შვილებსაც აკარგვინებს.

ღირსია ასეთი მამა შვილების ბედის გადამჭრელი იყოს?!

უფლება რო მქონდეს!.. არც ღმერთს ეწყინება, და კაცსაც მოუხდება—ასეთს მშობელს შვილები განაშორო, სანამ ჯერ კიდევ ნორჩი არიან და გზადაკარგულ მამას არ გადურჯულებია...

კვირა.

ახლანდელი დრო უცნაური საიდუმლოებისა და გაურკვევლობის დროა. ყოველ

წამს ისეთს რასმე წააწყდები, რაც სიზმრადაც არ მოგლანდებია. ნეტავ, ასეა სხვაგანაც!?

ერთი პაწია მაგალითი სხვა უამრავ შორის:

პური ნამცხვარი გირვანქა ორ შაურად ფასობს, ფქვილათ კი ათ შაურს გახდევინებენ გირვანქაშივე.

ფქვილით ვაჭრობა აკრძალულიაო... მაგრამ ხალხი ამკრძალავს ვერვის ხედავს და საჭიროების დროს ორი შაურის წილათ შაურს იხდის...

ფულს დაღი აღარ აქვსო...

მაშინ უნდა დაიდაღონ ისინი, ვინც ამ დაღის აცლას ხელს უწყობენ!.. მარა—ვინ, ვის...!?

პარასკევი.

ვუცილობლობთ, ვებრძვით ერთმანეთს, ვჩხირკედელობთ—არა მე ვარ, არა მეო...

მშობელი მოხუცი, მრავალ ჭირ-ვარამს გადახდილი, თავ-ბედს იწყევლის, რომ ასეთი შვილები გაუჩნდა...

მზის ქვეყანა, მხარე ვარდ-ბულბულისა, მგოსნობისა, ულირსმა შვილებმა ლამის ჭაობათ გადააქციონ, სანეხვეთ.

ვაი, სირცხვილო!

ერთი რწმენისა, ერთი აზროვნების ყველა დარგსა და საქმეში, დე, ნუ იყოს ყველა, არც უნდა იყოს... მაშინ რწმენასა და აზრს ცხოვრებისას ფასი და ღირებულობა დაუქვეითდებოდა... ეს ფრიად აშკარა ერთფეროვნება, თუ გინდა, უფერულობაც იქნებოდა და სიცოცხლისა და ცხოვრების წინ სვლას დაადუნებდა...

მაგრამ...

არის უაღრესი საგანი ერთი, უზენაესი მისწრაფება, რომლის გარშემო ყოველი არსი და ღირსეული შვილი ქვეყნისა ერთი აზრით უნდა იყოს აღტყინებული:

მშობელი ქვეყნის კეთილდღეობა!..

მე მარჯვნით მოვუვლი ამ საქმეს, მე მარცხნით, მე უკნიდან, არა, მე წინიდანაო!.. სულ ტყუილია...

თუნდ ასეც იყოს... მაგრამ ყველა ამ გზამ „სიყვარულთან“ უნდა მიგვიყვანოს, მშობელი ქვეყნის სიყვარულთან უნდა შეგვაგროვოს და მაშინ უსაცილოთ ყოველი ერთეული ამ გროვისა ცალკე დევგმირი იქნება...

ამ მთელს გროვას დევ-გმირებისას კი ალერსითა და სიყვარულით შეხვდება იგი უზენაესი სიყვარული ქვეყნის, ერის...

ეს იქნება თვით ციური სილამაზე, ქვეყნიური მშვენიერება...



პირველი კლასის კუპე

— ქალბატონო ვერა, ქალბატონო ვერა!

ქალმა მოიხედა.

— ბატონო ანტონ! როდის ჩამოხვედით?

— ეს არის ეხლა გიახელით. გამოვიცვალე თუ არა სამგზავრო ტანისამოსი მაშინათვე მოვაშურე ბაღს იმ იმედით, რომ თქვენ გნახავდით.

— ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამეხარდა.

— თქვენ თანდათან კეთდებით, ქალბატონო ვერა!

— კომპლიმენტებს კიდევ ვერ გადაეჩვიეთ?

— სრულ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ.

— დიდხანს აპირებთ აქ დარჩენას?

— ქალაქში ნამეტანი სიცხეებია და მთელი ზაფხული წამოვედი.

— მაშ ხშირი სტუმარი იქნებით ჩვენი.

— თუ ნებას მომცემთ.

ქალმა გადიკისკისა.

— როდის აქეთ ისწავლეთ ასეთი თავაზიანობა?

— ნუ თუ წინეთ უზრდელი ვიყავი?

ქალმა კიდევ გადიკისკისა.

— წყალვარდნილი გინახავთ.

— არა.

— მაშ წამომყევით. თქვენი ჩიჩერონე აქ მე ვიქნები.

ყმაწვილი ქალი და კაცი გასცილდენ საესეირო წრეს და შიიმალენ ტყეში.

ანტონი ახალგაზრდა ოცდა თორმეტის წლის ვექილი იყო, საშუალო ტანის, ოდნავ მელოტი, პირგაპარსული. კოხტად აბზეკილი ულვაშები საკმაოთ ამშვენებდენ იმის ულამაზო, მაგრამ მარილიან სახეს.

ანტონი ნიჭიერ ვიქილათ ითვლებოდა, საქმეები ბლომათა ჰქონდა და ადგილობრივ ახალგაზრდათა შორის სასურველ სასიძოთ მიაჩნდათ.

აგარაკზე ანტონმა ორ თვემდე დაჰყო. ვერას ყოველ დღე ნახულობდა. ხშირათ დასეირობდენ ერთათ.

ვერა იქნებოდა ოცდა ორის ან სამის ახალგაზრდა, მაღალი ტანის, შავგვიმანი. მთელი მისი სიმშვენიერე თვალებში იყო თავმოყრილი. ვერა იყო მეტად კეკლუცი, მხიარული, ცქრიალა.

ანტონი მას დიდი ხანია იცნობდა, მაგრამ არასოდეს არ მოსწონებია ამდენათ, როგორც ეხლა.

— გაგიჟებით მიყვარს. წარმოსთქვა ერთ დილას ანტონმა. უსათუოდ განვუცხადებ ჩემს გრძნობას.

— ვუარი რომ მითხრას? უცებ გაუელვა გულში. თუ ქალის სახეზე რისიმე წაკითხვა კი შეიძლება, ვატყობ, უნდა მოვსწონდე.

რამდენიმე დღეს ანტონმა ვერასად მოახერხა, ვერას მოლაპარაკებოდა, რადგანაც მუდამ სტუმრები ან ნაცნობი ყმაწვილკაცები ეხვიენ გარშემო.

— ერთიც ვნახოთ, სხვამ დამასწროს და ვერა წამართვას! ჰფიქროობდა ანტონი და მოთმინება ეკარგებოდა.

— როგორ მოგწონთ ჩვენი აგარაკი? დეკითხა ერთ დღეს ვერა ანტონს, როცა ისინი მარტო დასეირობდენ მდინარის ნაპირას ას წლოვანი ხეების ჩრდილში.

— სამაგალითო ბუნებაა! ქალაქ ადგილას ვერასოდეს ვერ განიცდის ადამიანი იმას, რასაც აქ. ვისაც სიყვარულის გრძნობა არ გამოუცდია, ის აქეთ უნდა გამოვაგზავნო აწი.

— ოჰო, თქვენ აქ, როგორც გეტყობათ, ვილაცა შეგყვარებიათ!

— შესაძლებელია.

— მომილოცავს! იქნება ისიც მითხრათ, ვინ შეგიყვარდათ.

— ძალიან გინდათ, გაიგოთ?

— რატომაც არა!

— თქვენ შემიყვარდით ვერა, თქვენ, გაგიჟებით მიყვარხართ.

ვერას ერთბაშათ დეკარგა სახეზე ღიმილი, ტუჩები დამუწა, ოდნავ ფერი ეცვალა და თავი დაჰხარა.

— ამაზედ უფრო მე არავინ არ შემიყვარდება, განაგრძო ანტონმა. გთხოვთ, მითხრათ: შეგიძლიათ თუ არა ჩემი ცხოვრება გაიზიაროთ?

ქალმასხიმ არ იღებდა, თავჩაღუნული იდგა.

— ანტონ, მომეცით დრო, ვიფიქრებ. წარმოსთქვა მან ბოლოს.

ანტონმა მოაცილა ვერა სახლამდინ და რამოდენიმე საათს აგარაკს გარეშემო დასეირობდა. საღამოს სასტუმროში დაბრუნდა, ცოტა დაისვენა. საქმელი მოითხოვა, მაგრამ არ უჭამია. ისევ გარეთ გამოვიდა. შუაღამემდე ტყეში დადიოდა. შემდეგ სასტუმროში დაბრუნდა, ტანს გაიხადა და დაწვა, მაგრამ ძილი არ ეკიდებოდა. ისევ ჩაიცვა და გარეთ გამოვიდა.

ცა მოწმენდილი იყო. მთვარეს კაშკაში გაჰქონდა.

ანტონი წამოწვა ბალახზე გულაღმა და თვალები მთვარეს მიაპყრო. დიდხანს იყო ასე. ოცნებამ გაიტაცა და ჩაეძინა.

რიჟრაჟი მოახლოებული იყო, როდესაც ანტონმა თვალები გაახილა. ანკარა მდინარეში ცხვირსახოცი დაასველა და თვალები ამოიწმინდა, ტანისამოსი გაისწორა და შეუდგა გზას მთის მწვერვალისაკენ, რომ მზის ამოსვლისათვის ეცურებია.

ის საკმაოთ დაიღალა, მოშივდა კიდეც და, დაბრუნდა თუ არა სასტუმროში, ჩაი მოითხოვა. შიმშილსა გრძნობდა, მაგრამ საქმელი ვერა სჭამა; ჩაისა სვამდა, რომ ამ დროს წერილი მოუტანა მოსამსახურემ.

ანტონმა მოუთმენლათ გახია კონვერტი, გაშალა წერილი და დაიწყო კითხვა:

„ანტონ! მთელი ზაფხული თითქმის ერთათ გავატარეთ,— დრო საკმარისი იყო. გულში მთელი დღე და ღამე ვეკითხებოდი ჩემ თავს, ვუკვირდებოდი ჩემს გულს და დავეწმუნდი, რომ მე თქვენ არ მიყვარხართ, ვერ შეგიყვარებთ, მე თქვენ დიდათა გცემთ პატივს, საშინლათ ვიტანჯები, მეძნელება ყველივე ამას მოწერა, არ მინდა, რომ უსა-

ოვნება მოგაყენოთ ყველა იმ სიამოვნების სამაგიეროთ, რაც მე თქვენგან მიმიღია მთელი ამ ზაფხულის განმავლობაში, მაგრამ რა ვქნა? არის ისეთი წამი, როცა სრული გულახდილობაა საჭირო. ნუ გამკიცხავთ, ნუ დამემდურებით. იყავით ჩემი მეგობარი ძველებურათ. მე თვითონ ვწუხვარ, რომ ჩემი მეგობრობა თქვენდამი სიყვარულათ არ გადიქცა, მაგრამ რა ვქნა, მითხარით. მინდა, მიყვარდეთ, მაგრამ ჩემს ხელთ არ არის. გრძნობა ჩვენდა უნებურათ ჩნდება, ჩვენდა უნებურათ ჰქრება. კიდევ გეხვეწებით, ნუ გამკიცხავთ, ნუ დამემდურებით, ისევ ძველებურათ ვიყოთ მეგობრები. ვერა".

ანტონმა გადაათვალიერა წერილი წაკითხვის შემდეგ. ცეცხლი მოუკიდა და დასწვა. გაიარ-გამოიარა, ფანჯარასთან გაჩერდა და დაიწყო ქუჩაში უაზროთ ყურება. გამოტრიალდა და მოსამსახურეს დაურეკა.

— მატარებელი რომელ საათზე გადის? დაეკითხა ის შემოსულ მოსამსახურეს.

— დილით ათ საათზე, საღამოთი რვაზე, ბატონო.

— დანახარჯის ანგარიში წარმომიდგინე.

ანტონმა შეჰკრა თავისი ბარგი და დილისავე მატარებლით გამოეშურა ქალაქისკენ.

პირველ ხანებში ის მოწყენილი დადიოდა. ისეთ გუნებაზე იყო თითქოს გულზე მუწუკი გამოსვლია შიგნიდანო. მადა დაეკარგა, ცოტა გახდა კიდეც.

შემოდგომა დადგა. საქმეებმა იმატა. ანტონის ცხოერება ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა და დრომ მისი სევდაც თანდათან დაადნო.

სიყვარული ავადმყოფობაა, მოიშორებ და კარგათა ხარ. წარმოსთქვა ერთხელ ანტონმა.

მართლაც ის ახლა სრულებით კარგათა გრძნობდა თავს. ხშირათ გაახსენდებოდა ვერა, მაგრამ მისი მოგონება თითქმის იმდენათვე მოქმედებდა იმის სულიერ განწყობილებაზე, რამდენათაც ყოველი ნაცნობი ქალიშვილის მოგონება.

(დასასრული იქნება)

ქართული ეკლესია და სამღვდელოება

(ერთის თვალის გადავლებით)

(იხ. „თეატრი და ცხოვრება" № 8)

როგორც საქალაქო უწყებამ, ისე სასულიერომ აუცილებელ მიზნად საქართველოს ერის და ეკლესიის გარუსება დაისახა მიზნად. პირველმავე რუსმა ექსარხოსმა თეოფილაქტემ გვარად რუსანოვმა, პირველი ქვა გარუსების ჩვენი ეკლესიის საძირკველში ჩასდო: მოსპო გვარების წერა ქართულის დაბოლოვებით შვილი და ძე და შემოიღო დაბოლოება ოვ და ევ. იმ დღიდან იწერება გვარები ისე, მაგ. ხიზანაშვილი — ხიზანოვ, უტურაშვილი — უტუროვ და სხვ. სამღვდელოთა გვარების გარუსებას მოჰყვა თავად-აზნაურთა გვარების გარუსებაც. ამისი დიდი მომხრე ყოფილა ატენელი გიორგი ერისთავი, დიდ გიორგად წოდებული, რომელიც იმ დროს, როდესაც თავად-აზნაურთა გვარტომობა ირაკლი მეფის სიებით მტკიცდებოდა, დიდს როლს თამაშობდა თურმე. თეოფილაქტე ექსარხოსი ცდილობდა სიონში მოსამსახურეთა გვარების შეცვლასაც და კიდევაც შეუცვალა რამდენიმეს, მაგ. მანსვეტოვი, გერმანოვი, ბრატიშვილი და სხვ. და სხვ. მანსვეტოვის გვარი ყოფილა ცოფურაშვილი, პროტოპოპოვისა—დეკანოზიშვილი, და ასე ამ გვარად. პირველ შეხედვით თითქო ეს უმნიშვნელო ფაქტია, მაგრამ ღრმად რომ ჩაუკვირდებით, სულ სხვას ამოიკითხავთ. ამ მცირე ფაქტებზე ნელ-ნელა, თანდათანობით, ამოშენდა კედლები და ჩვენი ეკლესია და ახალი თაობა გადაშენების და გადაგვარების გზას დაადგა.

ეკლესიის ცარიელი კედლებიდა შეგვრჩა. მე კარგად მახსოვს გადმონაცემი ჩემის წინაპარისა, რომელიც მომსწრე იყო რუს ექსარხოს თეოფილაკტის მართველობის დროისა. „გახიწნეს სრულიად ჩვენი დიდებული ტაძრებიო,—იტყოდა ხოლმე იგი, რომელიც თვით სამღვდელო პირი იყო და დიდად აღშფოთებული იყო სასულიერო მთავრობის „ულვთო" საქციელითა.

ჩემის აზრით, არც ერთს ექსარხოსს იმ-
დენი არ უშრომნია და არ გაუკეთებია ჩვე-
ნის ეკლესიის და სამღვდელოების გარუსები-
სათვის, რამდენიც შესძლო ხუთის წლის განმ-
ავლობაში ექსარხოსმა თეოფილაქტემ: იგი
ყოფილა ფრიად განვითარებული, შესანიშნა-
ვი ადმინისტრატორი, გამბედავი, თვითნება
და იშვიათის ენერგიისა. ასე ასურათებს მას
ეპ. კირიონი. თეოფილაქტეს ჩამოსვლისას
სიონის კათედრის დეკანოზად ყოფილა იოსებ
ფალავანდიშვილი, რომელსაც შემდეგი ბრძა-
ნება თურმე მისცა; „ამიერიდან სიონის ტა-
ძარში, კვირა-უქმე და დიდ დღესასწაულების
გარდა, ღვთის მსახურება რუსულ ენაზედაც
უნდა იქმნეს კვირაში სამჯერ, რომელსაც
შეასრულებენ ჩემთან ჩამოყოლილნი სამღვდე-
ლონი, სახელდობ: სამშაბათს, პარასკევს და
შაბათს, დანარჩენს სამს დღეს ქართულად
ქართველმა სამღვდელოებამ*). ამანვე დაა-
ფუძნა სასულიერო სასწავლებლები ტფილის-
ში, გორში, თელავში, სიღნაღში, ამასვე ეკუ
თვნის სემინარიის დაფუძნება. მაგრამ ამ სა-
სწავლებლებში ქართული ენის სახსენებელი
არ იყო, იგი არ ისწავლებოდა, როგორც სა-
განი. აკითხებდნენ მხოლოდ კვირაში ერთ-
ხელ-ორჯელ ხუცურად ჟამ-დავითნსა. ბავ-
შვებს მშობლის ოჯახში უკვე ჰქონდათ ქარ-
თული წერა-კითხვა ბეკზე ნასწავლი და ხუ-
ცურ-მხედრული, ქართული ლოცვები, ჟამ-
დავითნის კითხვაში ხომ დახელოვნებულნი
იყვნენ. თეოფილაქტედან დაედო ამნაირი სა-

*) საქმე სინოდ. კანტორისა 1817 წ, № 28, ეპ. კირ. გვ. 20

ფუძველი ქართულის ენის სწავლებასა და გას-
ტანა 1882 წლამდე.

ექსარხოსი თეოფილაქტე ცდილობდა აღ-
მოეფხვრა ქართველობაში, ეკლესიაში სიყვა-
რული და ჰატივასცემა ქართველ მღვდელ-
მთავრებისადმი. იმის დროს ჯერ კიდევ იმე-
რეთში მღვდელმთავრობდნენ გელათელი და
ქუთათელი მიტროპოლიტნი. თეოფილაქტემ
თვისი რუსიფიკატორობა დასავლეთ საქართვე-
ლოს ეკლესიაში შეიტანა, უბძანა მღვდელ-
მოქმედება ქუთაისშიაც ისე აესრულებინათ,
როგორც სიონის ტაძარში, კვირაში სამ-სამ-
ჯერ ქართულად და რუსულად. თვისი პოლი-
ტიკის გადმონერგვა აღმოსავლეთიდან დასავ-
ლეთშიც მოინდომა, ამ უგვანმა პოლიტიკამ
გამოიწვია ამბოხება. შეიპყრეს მიტროპოლიტ-
ნი გენათელი და ქუთათელ

სასულიერო სასწავლებლებმა და სემენა-
რიამ გვაძლია გადაგვარებული სამღვდელოე-
ბა,

სოფლად მოედო ასეთი სამღვდელოება.
შინაურული შესწავლა ქართულის წერა-კით-
ხვისა, ქართული ლოცვებისა, სარწმუნოებ-
რივი გრძნობა მოისპო. ამისი მიზეზი იყო ნა-
ხევრად გარუსებული სამღვდელოება.

ძველი სამღვდელოება, აღზდილი მონა-
სტრებში, განსწავლილნი სამშობლო ენაზე,
ნელ-ნელა ჩამ-ვიდნენ ასპარეზიდან; ეკლე-
სიამ დაჰკარგა თვისი მნიშვნელობა ხალხის
თვალში. აღარ ისმოდა ძველი მღვდლების
მშვენიერი, მეტყველი, მარგალიტი წირვა-
ლოცვა, გალობა, ულმობიერესი, სულისა და
გონების დამატყვევებელი სამოციქულო-სახა-
რების კითხვა. ახალი სამღვდელოება განცხ-
რომას მიეცა. მრევლისათვის სრულიად არა

ფიქრობდა, არა ზრუნავდა, სმა-ჭამას დიდად შესარგს გამოუდგა და მით უარჰყო დიდი შოთას ანდერძი: „სმა-ჭამა, დიდად შესარგი, დება რა საყარგუდია“. სამღვდელოება სოფლად მოვაჭრე, მოვახშე და წურბელა გახდა, ერთი მეტი ხორცმეტი ხალხისათვის. სრულიად აღმოიფხვრა ძველებური მამა-შვილური განწყობილება მოძღვარსა და სამწყოს შორის. ეკლესიაში აღარ ისმოდა ლმობიერი და მეტყველი წირვა-ლოცვა, გალობა, ქადაგება, ხალხმა ზურგი ადრიკა ეკლესიას, სარწმუნოებაზე გული გაუგრილდა, სამღვდელოება შეიძულა, დაუწყო მას კილვა და ძრახვა. ყველა ეს იყო და არის შედეგი ექსარხოს თეოფილაქტეს და სხვათა პოლიტიკისა.

გაგრძელება შემდეგ.

სიმართლის წყურვილი

ე ტ ი უ დ ი

„ნეტარ იყვნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძღნენ“.
მათ. 5, 6.

— ნუ თუ ვერასოდეს ვერ მივხვდები, რა ფიქრი ტრიალებს შენს ნათელ თავში, როდესაც მე, გრძნობის ალით მოცულს, ჩალადაც არ მიმაჩნია მთელი ქვეყნიერება?— ეკითხება თვალებ-აღგზნებული ქალი ვაჟსა.

— ჩემო კარგო! მოიკრიფე გრძნობისაგან დაბნეული გონება და დაუკვირდი ჩემს გულწრფელ, მაურვალე სიტყვებს!—უპასუხებს ვაჟი.

— არა, ამაოა: ადამიანის ენა მცდურია!

— ნუ თუ მაგ წმიდა თვალებში ვერ ამოვიკითხავ ვერასოდეს, რამდენი ღალატი დაბადებულა შენს ცბიერ გულში?—განაგრძობს სიმართლისათვის მშიერი ქალი.

— კარგო და ყველავ! ჩააკრე შენს ტანჯულ გულში ეგ უქმი სურვილი და გაახილე წარმტაცი უძირო თვალები: ვისაც წმიდა აქვს თვალები, იქ ღალატი უძლურია!

— არა, არა, ვერ შემაცდენ: ადამიანის თვალიც მაცდურია!

— ნუ თუ შენს გრილ აუჩქარებელ გულის ცემაში ვერასოდეს ვერ ვიგრძნობ თავდაჭერილ, ხოლო მხურვალე სურვილს?

— კარგო, ყველავ და ნაზო! როგორ დაგამშვიდო? ჩამოიხედე ჩემს გულში, რომელიც მარად შენთვის გაშლილია, და იქ ჰპოვებ იმას, რაც გწყურია!

— არა, არა და არა: ადამიანის გულიც მაცდურია!

— მომეცით სიმართლე: მშია, მწყურია!

ნოემბრის 19
1914 წ.
ქ. ტფილისი

„უოველივე ჩემთვის“

ნეტავ სადა გადაფრინდა სიუმაწვიდე, ურმობა-ბაბუკობა?

შეეკითხე ჩემს თავს.

მან მოგონების აკლდამას სარქველი ახადა და შიგ ჩამახედა.

იქ ბნელოდა.

აკლდამა წარსულზე ოცნებამ გაანათა და დაგინახე შიგ რვეული, სიუმაწვიდის ტეტი სედით დაწერილი, ადგილ-ადგილ გაუგებარი...

და ამოგიკითხე:

„სიუმაწვიდის ეკვიდები—დროთა ბრუნვამ დაანგნო...

ტკბილი ოცნება—სინამდვილემ ჩასძირა...

სიუვარული—სიძულვილმა დაფერფლა...

სიძულვილი—სიმახინჯემ დაბადა...

სიტიდ-კისკისი—ტირილმა დაანელა...

სიხარული—სიმწუხარემ დაიჯაბნა...“

. . . . . .

შეეშინდი...

გულის სიმჩატე-სიცალიერე ვიგრძენი

სიტოტლის უმიზნობა ტვინს გამხმარი თითებით ეხებოდა.

მოგონება ბნელს კუნჭულს მიეფარა.

და თვალებზე ცრემლი ვიგრძენი...

ვსტირიდი სიუმაწვიდეს, ურმობას-ბაბუკობას...

როცა გრძნობას გამანადგურებელ ძალების ბინადრობაზე შეეკითხე, მან ცხოვრებაზე მიმითითა.

ცხოვრებას კი შუბლზე ეწერა:

„უოველივე ჩემთვის!“

აკ. ბერეკაშვილი.

გლეხი მებრძოლი

იაგორ გაბრიელის-ძე ბოლქვაძე

(სურათი იხ. პირველ გვერდზე)

ჩვენი ხალხის განმანთავისუფლებელ მოძრაობას ბევრი ისეთი მუშაკი ჰყავდა, რომელიც თუმცა საშკაროზე არა სჩანდა მწერლობით ანუ სხვა მოღვაწეობით, მაგრამ ხალხის გაფხიზლებისა და გათვითცნობიერების საქმეს ძლიერ უწყობდა ხელს.

ერთი ამგვართაგანი იყო იაგორ გაბრ. ბოლქვაძე.

ი. ბოლქვაძე გურული გლეხი იყო, წერა-კითხვის მიმდევარ ოჯახის წევრი, სამშობლო ენით თვითგანვითარებული. პირდაპირობა, სწავლა-განათლებისადმი მიზრაფება, თანასწორობისა და თავისუფლების სიყვარული იაგორს შეთვისებული ჰქონდა უფროსი ძმის თეოფილესაგან, რომელიც ადრე გარდაიცვალა და ვერც-კი მოესწრო იმას, რასაც იაგორი ე. ი. ათას ცხრას ხუთ წელს... იაგორამ ამ დროს გურიის გლეხთა მოძრაობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო, თავისუფლებ ს მქადაგებლებს ადრე დაენდო, გახდა მათი ერთგული მოწაფე და ერთხანად თავის სოფ (მიქელგაბრიელში) პასუხსაგებ თანამდებობასაც ასრულებდა...

... აღფ თოვანების ხანა ჩაქრა, დემონმა ფრთები გაშალა, შურისძიება დაიწყო. იაგორის მამაპაპეული სახლ-კარი გაცარცვეს და შემდეგ ცეცხლს მისცეს; იაგორა-კი თავის უფროს ძმა იაკინთესთან ერთად გადაასახლეს, სამშობლო ქვეყანასა და ახლად ჯვარდაწერილ ცოლს მოაშორეს. . რავდენიმე წლის შემდეგ იაგორი ისევ დაუბრუნდა გადამწვარ ოჯახს, დაუბრუნდა მეზობლებს და მათში კულტურული მუშაობა განაგრძო, მაგრამ განვლილ წამების ხანამ მის ნერვებზე ისე იმოქმედა, რომ გასულ წელს სულიერად დაავადმყოფდა. . მოსიყვარულე ძმებმა მისთვის არა დაზოგესრა, ბევრი ექიმიც დაღალეს, მაგრამ იაგორას აღარა ეშველა და ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, თებერვლის 6, ქუთაისის ერთ ერთ საავადმყოფოში განუტევა მრავალტანჯული სული.

„ციხე, დაწვა, ციმბირი, ამხ ნაგები, დროშა, ჯალათი, გამარჯვება,"—ეი რა სტანჯავდა იაგორას და რა აბოდებდა ამ პატარა კაცს, მაგრამ დიდი საქმის ზვარაკს... მშვიდობით ძმაო და ამხანაგო! ნეტარება შენ, რომ პირნათლად მოიხადე ვალი. მეგობარი

ფუთის სოფელი

ვაჰ! სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?
შოთა.

ცხოვრების კალთაზე სულ იცრემლებიან!
შემოსვეულით შობიდნი მერის ეკედრებიან,
მზის სხივებს ნატრობენ, მის ასდო დგებიან,
მაგრამ, ფრთებ-მომწყვარნი, ძირსვე ვარდებიან...
სიცოცხლე მოსწყვინდათ—ბნელს ერიდებიან...
დეთის სულს დაეძებენ—თვის სულს შორდებიან
დადიან მწუხარედ—ლედაგენ, კვდებიან!

—

და სხვანიც მოდიან, მათ ადგს დგებიან,
მათსაებრ ბნდებიან და ტანჯვით კვდებიან!..

ბ. გორდეზიანი.

ანნა კავთელი
სამტრედიის სცენაზე

ვანო ბარველი
სამტრედიის სცენაზე

შ ე ნ

(ო. ბ—ს)

ისე მოსჩანს ეგ თვალები შავ ხალიან ბროლ ლოყაზე,
ვით ვარსკვლავი მოციაგე ოვერიის ლაჟვარდ ცაზე...

—

გიშრის ფერი დალალები ისე გშვენის და გიხდება,
რომ თვით მთვარე, ბადრი მთვარე სილამაზეს გეცილება...

—

შენი ტანი მოქნილია, ვით მღელვარე ტალღა ზღვისა;
შენი ბაგე წყლიანია, როგორც წვიმა მაისისა...

—

შენ ჩემს გულში გააღვიე, გააჩაღე ტრფობის ალი,
შენ ხარ ჩემი სამლოცველო და სიცოცხლის დედოფალი

კ. ძიძაძე

ვნებისგრძყალებში

სურათები ხუთ მოქმედებად მიხ. **ბოჭორიშვილისა**

(იხ. „თ. და ც." № 6, 7, 8)

მოქმედება მეოთხე

დედათა მონასტრის ეზოს კიდე. კლდიდან გადმოსჩქეფს ანკარა წყარო, მის ირგვლივ ყვავილებით მოცული ფერდობი, წყაროს პირად ჩამოსაჯდომი ფიცარი, დილაა. მზის სხივი ნელ-ნელ ეფინება მაღლობიდან. მონაზონი ქალი პირს იბანს. ალოლს (მონოზონის ტანთსაცმელშია) პირი უკვე დაუბანია და თმას ივარცხნის.

I

მონაზონი და ალოლ

მონაზონი. (ამთქნარებს და პირჯვარს გამოისახავს). მეოხ მეყავ მე ცოდვილსა ამას?

ალოლ. განა შენც მიგიძღვის რაიმე ცოდვა?

მონაზ. უცოდველი ადამიანი არა სუფევს ქვეყნად!

ალოლ. მეტადრე ყმაწვილი ქალი არა? ღამით ისეთ სიზმრებს ვხედავ რომ...

მონაზ. ცოდვა სიტკბოებისა და ნეტარების თანამგზავრია.

ალოლ. ნუ თუ ყოვლად სახიერი ცოდვათ ჩამითვლის, თუ ხანდახან გულის თქმას ვერ ვსძლევ?

მონაზ. ევედრე უფალს, ილოცე დაო! რა ნეტარებაა, როდესაც ღამის წყვდიადში ელვარებს წმინდა სანთელი და შენ ხელ-აპყრობილი ცრემლთა ფრქვევით ევედრები ზეაარსს. რა ნეტარებაა, როდესაც სულიერად უხილავს შეუერთდები?

ალოლ. როცა ლოცვაც არა სჭრის? ხან და ხან სიზმრად იმისი სახე შემოიჭრება და.

მონაზ. ვისი?

ალოლ. რომელმაც ჩაჰკლა ჩემში სიყმაწვილის წყურვილი. ოხ! ღმერთო! ღმერთო! რა წამება მარგუნე წილად!

მონაზ. ნუ ცოდავ უფალს. თუ მიწიერ სიტკბოების გრძნობა კვლავ სუფევს შენს სულში, ღირსი არა ხარ იყო სასძლო ქრისტესი! თუ შენში კვლავ სუფევს წარსულ დღეთა მოგონება, წადი, ისევ დაუბრუნდი ცდომილ ქვეყანას. ჩვენი გზა ისეთ სათუთ ყვავილებით არის მოფენილი, რომ იგი ვერ უძლებს იმ ფერხთა სიმძიმეს, რომელიც ამ ქვეყნიურ ფიქრებსაც თან ატარებს გულის სიღრმეში. დაივიწყე, დაო, ყოველივე ამ ქვეყნიური: იგი კაცთათვის ჯოჯოხეთად არის შექმნილი.

ალოლ. თუ ეს ქვეყანა ჯოჯოხეთია, რად დააამკვიდრა აქ უფალმა თვისი ეკლესია? თვით ჩვენ განა...

მონაზ. ნუ სცოდავ უფალსა. დასაჯე გულისთქმა, ოომელიც წარსულ დღეთა მოგონებას იწვევს შენს სულში, ილოცე, ილოცე წრფელი გულით ბევრი რამ არის შენთვის უცნობი საბრალო დაო! ბოროტება ხშირად ამ მონასტრის კედლებშიც-კი შემოიჭრება, რომ მყუდროება დაურღვიოს საბრალო მლოცველთ

ალოლ. ოჰ, რა საშინელია ჩვენი ცხოვრება! აქ თვით ფიქრიც-კი აღკრძალულია სიყმაწვილეზე.

მონაზ. ეს ასეც უნდა იყვეს.

ალოლ. რა უგრძნობია დაო, შენი გული. ნუ თუ შენთვის უცხოა ეს ქვეყანა? ნუ თუ შენთვის წარსული არ არსებობს?

მონაზ. (შეშფოთებული) ჩუმად. ხელი არ ახლო ჩემს გულის სიმებს. დავივიწყე, გესმის? წარსული დავიწყების უფსკრულში გადავტყორცნე. და თუ ოდესმე მაცდურმა შეახო ჩემს გულის თქმას, თუ აღსდგა წარსულ დროთა მოგონება,

სამუდამოდ დავიღუპები. (ორივენი ჰირჯვარს გამოისახავენ და წყნარი ხმით დაიწყებენ გადგობას). „ვინ არ გნატრიდეს შენ ყოვლად წმინდაო ღვთისმშობელო". (ამ დროს მადგობზე გამოჩნდებიან დიოგენი და პლატონ).

დიოგენი. ის არის, ის?

პლატონ. წყნარად, არ შეგვამჩნიონ! ხმა დაიმდაბლე!

დიოგ. მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან! გესმის რა ნაზად გალობენ? მე ავიმაღლებ ხმას და გადავძახებ წარსულ დროთა მოგონების მიმღეროს რამე.

პლატ. დამშვიდდი. მე ჩავალ ქვევით. ვეტყვი რომ ბიძა შენი სიკვდილის პირად არის და შენს ნახვას ნატრობსთქო. თუ არ დამი-

ჯერა, მათ წინამძღვარსა ვსთხოვ! შენ აქ შემიცადე.

დიოგ. არ შემიძლია მეტის მოთმენა, როდემდის უნდა ველოდე აქ?

პლატ. თუ ჩემსას არ გაიგონებ—ნება შენია. მე ვბრუნდები შინ.

დიოგ. კარგი, მოვიცდი.

II

იგინივე და **პლატონ**!

პლატ. (მონაზონები ბირისახეს იბურავენ **ბის** დანახვაზე) სალამი თქვენდა.

ალოლ. (მის დანახვაზე შეკრთება და მთრთოლვარე ხმით უპასუხებს) მობრძანდით. იქნებ გაგრილება გსურთ? ჩვენ ეხლავე წავალთ.

პლატ. მომაკვდავი ბიძა თქვენის დავალებით ნება მიბოძეთ გადმოგცეთ მისი უკანასკნელი სალამი ალოლ!

ალოლ. ვინ არის, სად არის ალოლი?

პლატ. განა წმინდათა ბაგენიც მხოლოდ სიცრუეს მეტყველებენ?

მონაზ. ჩვენთან არავინ არის ეგეთ სახელს ატარებდეს?

ალოლ. ჩემი სახელი სერაფიმაა, თქვენ უთუოდ შეცდომით მომმართეთ.

პლატ. ნუ თუ ისე შეიძულეთ ბიძა თქვენი, რომ არც-კი გსურთ გაიგოთ მისი სიცოცხლის დასასრული?

ალოლ. (შემკრთალი) რას ამბობთ, რას?

პლატ. მინდა გიამბოთ, თუ რა მსჯავრი დასდეს ბიძა თქვენს.

ალოლ. პლატონ!?

პლატ. მან ვერ გაუძლო იმ ბოროტ ხმების სიმწვავეს, რომელიც ხალხში გავრცელდა თქვენი აქ წამოსვლის შემდეგ და ეხლა, როდესაც უკანასკნელ წუთებს ითვლის თვის სიცოცხლისას, გთხოვათ თქვენი ხელით დაუხუჭოთ თვალები.

ალოლ. თქვენ მე მატყუებთ. (ისმის მონასტრის ზარის ხმა)

მონაზ. წავიდეთ ვილოცოთ დაო!

ალოლ. წამობრძანდი! დაწვრილებით მიამბე ყველაფერი.

პლატ. მოვდივარ! ვიჩქარი ვნახო თქვენი წინამძღვარი, რომ ვსთხოვო გაიძულოსთ ბიძის ნახვა? თორემ მე არ შემიქლიან უთქვენოდ დავბრუნდე უკან. (გადიან. ბაუზა)

III

დიოგენი

დიოგ. ვივლი, ვიხეტიალებ. ამ მიდამოებში, იქნებ მოვიტაცო ამ ცდომილ გზიდან და თუ ვერ შევძელ, ყოველ ღამით ვით მოჩვენება, მივეყრდნობი მის სენაკის კედელს და უსაზღვრო გოდებით შეუშფოთებ მყუდრო ცხოვრებას. ალოლ! ალოლ! ნუ თუ კვლავ ციმციმებდა შენს სულში რწმენის სხივი, ნუ თუ ლოცვა-ვედრებაში გსურს დავიწყებას მისცე შენი წარსული? შენ ჩემი ხარ ალოლ! მთელი სულით, მთელი სხეულით. ცეცხლის მახვილით რომ გადამეღობოს წინ სამოთხის მცველი, მასაც არ დაუთმობ შენს თავს. რა ვქნა, ვერ შევძელ შენი დავიწყება. ნუ თუ სამყაროს დაუსაბამოძ იებაში ისე დავმარცხდი, რომ იმოდენი ძლა აღარა მაქვს სუსტი და უმწეო დედა-კაცი მოვტაცო ამ მონასტრის კედლებს? (თავდავიწყებით, თითქმის შიშმაგემ შეიშერა) ალოლ! ალოლ! მე ავალ ზევით მაღლობზე და იქიდგან სალამურის ხმით მოგაწვდენ ჩემს უსაზღვრო კვნესას. (გადის ბაუზა)

IV

ალოლ«

ალოლ. (მხარზე კოკა აქვს გადებული. კოკას წყდით ავსებს და ფიქრებს მიეცემა).

ალოლ. ოჰ, ღმერთო ჩემო! რა რიგ გაუძლო ესეოდენ ტანჯვას? რა ვქნა! აქაც მირღვევენ სულის სიმშვიდეს, რაღაც გრძნეული ძალა უხილავ ბადეში მხვევს. ამ მონასტრის ახლოსაც დაჰქრის ჯოჯოხეთის დარაჯი, ხან სიზმრებით მითესავს გულში ცოდვებს, ხან ოცნებაში შემეპარება... გუშინ ერთ წუთით გულის თქმამ მძლია და მოგონებამ შორს გამიტაცა ოცნების ფრთებით. მომეჩვენა, თითქმის აქ, სადღაც შორი-ახლო იგი სალამურს უკრავდა სევდიან ხმაზე. (ჩამოჯდება და ქვითინებს) წავიდე ბიძასთან? მერე რომ კვლავ შევხვდე მას, ველარ მოვითმენ, არა, არ შემიძლია. (მადლობიდან სალამურის ხმა მოისმის) ეს ხმა!.. ეს ხმა მომაგონებს იმ ცოდვილ ღამეს, ეს ხმა კვლავ ენების წყურვილს აღელვებს სულში. ოჰ, სადა ხარ ეხლა, სადა? (ბერჯვარს გამოისახავს) დედაო ღვთისავ! დამიფარე, ნუ თუ ვერ ხედავ ჩემს უსაზღვრო ტანჯვას? ნუ თუ ვერ ხედავ რა ღრმა უფსკრულისკენ მიმაქა-

ნებს ბოროტი სული? (სალამურის ხმა თანდათან მიწყდება და მთისმის სასოწარკვეთილი ძახილი) ალოლ! ალოლ!

ალოლ. (შეშინებული) ის არის, ის! ახ, ღმერთო ჩემო! სურს გაიქცეს, მაგრამ დინე მიხდილი ჩაიკეტება).

V

იგივე და **დიოგენი.**

დიოგენი. (მაღლობიდან ჩქარი ნაბიჯით ჩამოდის და ბირდაბირ მონასტრისაკენ მიეშურება. დაინახავს ალოლს და შმაგივით მიიკრება მასთან, დაემხობა მის წინ და თავდავიწყებით ხვევს ხელს) ალოლ!

ალოლ. (ოდნავ გასაგონი ხმით) რა გინდა აქ?

დიოგ. შენ თვითონ რა გინდა აქ, სადაც სიცოცხლეს სიყვარული დავიწყებია?

ალოლ. (ფეხზე წამოდგება და მორთოდ ყარე ხმით) მომშორდი მაცდურო! (ისევ უდინოდ ჩაიკეტება).

დიოგ. შემომხეღე რას დავემზგავსე? შენს სიყვარულს...

ალოლ. სიყვარულს... მე ოდესღაც ვიცოდი მნიშვნელობა ამ სიტყვისა... დიდი, დიდი ხანია მას შემდეგ.

დიოგ. დავივიწყოთ ახლო წარსული.

ალოლ. დავივიწყო? მე არც-კი მახსოვს წარსული.

დიოგ. კმარა ალოლ! მართალია მე ავცდი ქეშმარიტ გზას, მაგრამ შენ რად მიქანები ღფსკრულისაკენ? რა გინდა აქ მონასტერში, სადაც ზარის ხმა ჰყინავს მხურვალე სისხლის დუღილს? რა გინდა აქ, სადაც ცოცხლები მიცვალებულთა მოგონებას დასტირიან? რა გინდა აქ, სადაც ცოცხლები მიცვალებულთაგან მოელიან ხსნას? ყოვლი სიტყვა აქ თქმული სიკვდილის გამოხმაურებაა, ყოველი აზრი სიცოცხლეზე აქ მომაკვდინებელი ცოდვაა. რა გინდა აქ, სადაც სიკვდილის სუნთქვას ბანს აძლევს გლოვის ზარი? რა გინდა აქ, ამ კუბოში? აქ რისთვის აჭკნობ შენს სიყმაწვილეს? ჩემს მკერდში ტანჯვით აღვაგე შენთვის ტრფობის ტაძარი, მხოლოდ ჩემს სულში ჰპოებ შენ მშვიდ ნავთსადგურს! (შეეცდება ხელის მოხვევას) გამომყევ ისევ მივეცეთ გიჟურ ვნებას.

ალოლ. მომშორდი! დედაო ღვთისავ! გადმომაფარე შენი ღვთაებრივი ზეწარი, დამიხსენი მაცდურისაგან. ვიღუპები, ვიღუპები, ზენაარო დამიხსენი მაცდურის ბრჭყალებისგან.

დიოგ. მდევნი? მაშ კარგი! ხვალ დილით თქვენს მონასტრის გუმბათზე იპოვით ჩამოკიდებულ უსულო გვამს, რომელსაც მყრალი სუნი აედინება, და როდესაც თქვენ ხელს აღაპყრობთ ზცას, გახრწნილ ლეშიდან ჩამოცვივნული მატლებით აგევსებათ ხელის თითები. მშვიდობით ალოლ! „სულთათანა“ უგალობე შუა ღამისას მას, რომელმაც პირველად შეახო ხელი შენს მკერდს.

ალოლ. ჩამომეხსენი, რა გინდა ჩემგან? ნუ მიცქერ ეგრე ღაჟინებით, ჯოჯოხეთია შენს თვალთა გამომეტყველებაში.

დიოგ. ჩამოგეცლები, აღარ დაგტანჯავ ჩემის ცქერით. მშვიდობით. არ დაივიწყო ალოლ! შუა ღამისას სულთათანა უგალობე შენს ვნების ბრჭყალებში მომწყვდეულ მსხვერპლს; შუაღამისას მისი უსულო გვამი თქვენს მონასტრის თაღზე იქნება დაკიდებული. მშვიდობით! (წასვლას აპირებს).

ალოლ. (თავ განწირული ხმით) სად მიხვალ, სად! დაბრუნდი! (სურს გაიქცეს, მაგრამ უგრძნობლად დაეცემა ძირს).

დიოგ. (მობრუნდება, აიტაცებს ხელში და ჭკოცნის) მოეყრდნე ჩემს გულს, რომ უსაზღვრო სევდა დაიმსხვრეს ჩვენს დაღლილ მკერდზე. დიდხანს ვიტანჯეთ, დიდხანს ვეწამეთ. აწ კი დრო არის, რომ დავიწვეთ, დავიფერფლოთ ვნების კოცონზე. **ფარდა.**

(დასასრული იქნება)

ფარული სევდა

მკვიდრ კაეშნის სამსხვერპლოზე
გული სევდის ღმერთს შევწირე;
მით სამშობლოს სიბეჩავე
მდუმარებით დავიტირე.

მდუმარებით... რომ ცრემლები
მოძმეს თვალზე არ ენახა
და მომავალ განთიადის
იმედი კვლავ შეენახა.

შალვა მოლაშვილი

***

(ძველად სიყმაწვილის ამხანაგებს, მეგობრებს),

სიყმაწვილის ამხანაგები, მეგობრები! ჰმ!

იცით რათა ღირს მათი პოვნა, მათი შეძენა?

ეს მთელი შენი სიცოცხლეა, ხანმოკლე, სწრაფი, ნარ-ეკლიანი!

ერთი მუთაქა საერთო სასთუმალია...

ერთი პური ხუთსა ჰყოფნის...

ერთი ჭიქა ღვინო ყველას გვათრობს...

ჩვენ მსახიობებს ერთი გახამებული საყელო სხვა და სხვა მოქმედებაში რიგ-რიგობით გვიხმარია!

ჰმ!

სიყმაწვილის ამხანაგები, მეგობრები!

რამდენი სიხარული, რამდენი მწუხარება!

რა რიგი ოცნება მიუწდომელი!

და ცხოვრება ტლანქი, უხიაგი, შეუბრალებელი თავისი რკინის წვეტიანი ბორბალით ნაფლეთებად აქცევს ყოველივეს!

თვალებს დაგისისხლიანებს!

ხელებს დაგიბებრებს!

გულს სიმსუქნეს შემოახვევს, უგრძნობლათა ხდის!

ჰქრება ყოველი!

თითქო არც როდის გყოლოდეს სიყმაწვილის ამხანაგი, მეგობარი!

ჰმ!

ვაჟკაცობის ხანას მძლავრათ მიჰყევხარ წინ, უკან მოხედვას ერთ წამსაც არ დაგაცლის...

ილლები!

და დასვენების დროს, მოხუცებულობა რომ საცაა კარს დაგიკაკუნებს, ოცნებით თვალს გადაავლებ შენს განვლილ შარას, იქ ქონმორეულ გულის სილრმეში, სადღაც, კიდევ მოიძებნება ბაწია კუნჭული, საცა მიფერფლილა ეს გრძნობა სიყმაწვილის ამხანაგობის, მეგობრობისა,

და...

გაიხსენებ სიყმაწვილის ამხანაგებს, მეგობრებს, რომელთან ერთად ქვეყნის გადაბრუნებას ლამობდი, შენს სამშობლოს მტლად რომ უნდა დასდებოდი, ამხანაგებთან ერთად მტრისთვის უშიშრად მკერდი უნდა მიგეშვირა და... ჟრუანტელი დაგივლის...

ნუ თუ ყოველივე სიცრუე იყო?

მაშ თუ ტყუილია, რათ ბჟუტავს კიდევ იქ გულის სილრმეში, ქონი რომ გარს შემოჰკრობია, ის გრძნობა ყმაწვილური ამხანაგობის, მეგობრობისა..

აბა მითხარით, რათ ბჟუტავს, რათა?

ნუ თუ მარტოოდენ ოცნება იყო და სხვა არარა?

სიყმაწვილის ამხანაგობა, მეგობრობა?!

ჰმ!

ვალერ ბარბაქაძე.

„ვ ი შ! ქ ა?!.“

— აი, დამიწდი, დამიწდი, შე არ გასაზრდელო, შენა!.. წაგავლებ ე ხელს და დოლიგოჭივით დაგახეთქებ!.. ბიჭო, გიგლავ, შენ გეუბნები, შენ, საით იყურები! რით ვერ ააღულე ეგ ვერანა სამოვარი, ეგა! საცაა ქალბატონი გამობრძანდება და სამოვარს მოიკითხავს. აი მგელმა შეგჭამოს, მგელმა. ექვსი-შვიდი წლის ბიჭი ხარ და ვერა შეგასმინერა... შენოტელები ვენახებში დღეში თოთხმეტს შაურს იღებენ!

— რა ვქნა ეი, შენ კიდევ! თავი გამისქდა ამოტელა ბერვით, ბიჭოს!.. ე ხელები კიდევ ეკლით ამევსო, სამოვრისთვის ღობიდან ჩხირებს ვამტრევდი, მე რა ვქნა, ნახშირი მაიტა და მალე ავადულებ.

— ერთი უყურეთ ამასა, თქვენ გამარჯობას?!.. ბიჭო, საიდან მოუტანო შენს გამურულს თავს ნახშირი, ნისიათ აღარ გვაძლევენ... ახ, და-და-დადა! ამოტელა ზღვა ტყის პატრონები არიან ე ჩვენი კნიაზები და შეშა რა არის, შეშა არა აქვსთ. ნახშირი?! ვაი შენ ჩემო თავო! რას მიბრძანებთ? ერთს წელიწადს ღობეებს ვაკეთებთ, მეორე წელიწადს იქიდანვე ჩხრიმლებს ვამტვრევთ სამოვრისა და ბუხრისთვის. სადაურია! ერთ ალაგას ვაკონკებთ, მეორე ალაგას ვაძრობთ!

ჯავრობდა სოსია თავის კოხტა და შავგვრემან გიგლაზე.

— ჰა, ჩქარა, ბიჭო! გაიქე მაღლა სხვენზე დამტვრეული სკამებია, ერთი ჩამოიტა და დახეჩე, ჩააყარე მაგ ვერანა სამოვარს.

— რას ამბობ, ეი! იმდღესაც ერთი დავხეჩე და კნიაზმა ლამაზად მომტყიპა.

— ახლა, თუ მე მიგტყიპე გაიგებ შენს სეირს. რა ჯანაბათ უნდათ ი ვერანები, კნიაზის ბებიას მზითვად მოჰყოლია და გონი მას აქედ იქა ყრიან. რო არც აკეთებენ. გეეკეთებინათ მაინც წებოთი. აი, ოთახში ხან ერთი ტუმარი გადაყირავდება ხოლმე, ხან მეორე ი ბარბაცა სკამებზე. იმ დღეს კიდევ, აი კნიაზ პოსლუშის ჯალაბობა იყო ტუმრად და თავის პატარა ბავშვი დაწნულს სკამზე ჩამოსვა. ბავშვმა ხტუნაობა დაიწყო, უცბად დაობებულ ბებიას სკამს ნამჯა ჩაუწყდა და ბალღი შიგ ჩაიჩხირა, ცხელი ჩაის ტაქანიც ზედ გადაისხა, ძლივს დააძრეს ი ბავშვი... აბა რად უნდათ ეგეთი სკაები.

— ჰოდა რო არ უნდათ, წადი და შენ მაიტანე, უთხრა გიგლამ: მე ი ყურების სრესაც მეყოფა.

— აი მგელმა შეგჭამოს, მგელმა.

გიგლა დატრიალდა. გაფაციცებით უვლიდა აქედ-იქით გაჯიუტებულს სამოვარს. ეს უკანასკნელიც მართლა რომ გაჯიუტდა. ყური რომ დაგეგდოთ, სავსე სკასავით ბზუოდა, მაგრამ ორთქლი არსაიდან მისჩანდა. ბევრი ვაი-ვაგლახი გადაჰხედია ამ სამოვარს, ტკბილად დაბერებული, ერთს მხარეზე გადახრილი, ათას-ხმოვან ამონაკვნესით ძლივსღა ფშვინავდა იგი. და სწორედ ეხლა მოუნდა მას მძიმე ტკბილი სიმღერა. ხუმრობა ხომ არ არის: დღეს კნეინა მართა და სოსია, მანამ მზე ამოვა, დაქირავებულ ურმით ქ. ს-ში უნდა ავიდნენ. რომ დაიგვიანონ, სასამართლო მათ ხომ არ დაუცდის.

სოსია თვითონ დატრიალდა. იგი ოჯახის კაცი იყო, ყველა კუთხე სახლისა კარგად იცოდა. მაშ ტყუილად ხომ არ გაატარა ოცი წელიწადი მოჯამაგირედ კნ. მართას ოჯახში. საიდანღაც გამოაძვრინა კნ. მართას უფროსი ვაჟის ძველი წაღა, წამოაცვა სამოვარს, ყელიდან იწყო დიდოური ლეკივით ქშუტუნი. სამოვარმა თითქოს იწყინა, როგორ თუ ეს ბიაბრუობა მომაყენესო, მოუმატა ხმას და ბალე აორთქლდა კიდეც. სოსიამ დაინაცვლა ხელი, და მარდად და ღონივრად ჩაუქშუტუნ-შაუქშუტუნა ძველი წაღის ყელით.

— ესეც ასე!—სთქვა გახარებულმა სოსიამ: ჰა, გიგლა, ჩქარა ფოდნოსი ნახე, გონი ეგე საქათმის უკანა გდია, წელან ნაცარი გავიტანე, ჰა ჩქარა, მეც ეხლავე ურემს გავამზადებინებ.

ამავე დროს კნ. მართა თავის ოთახში პირს იბანდა გაფაციცებით. მასთან ერთად ხმაურობდა პატარა კედლის „ჟესტის“ პირსაბანი, რომელიც თავის ოცდა ათის წლის მეგობარ სამოვარსავით ხშირად გუნებაზე არ იყო ხოლმე. გაიმაგრებდა თავის წყალ-სადენის რკინის ქვეშით ღეროს და რამდენიც გინდა ქვეევიდან მუშტი გეცემათ, აღარ უშვებდა წყალს. ახლა, ძალიანაც ვერ ამოჰკრავდით სილას, რადგან ამ ღეროს, თითქმის, ათი წელიწადი იქნებოდა, რაც მრგვალი „ვინტი“ დაეკარგა და თუ ძალას მიიტანდით, ჯერ ერთი ესა ხელს გაიფხაჭნიდით, მეორეც ესა, ეს ღერო უსათუოდ შიგ პირსაბანში შეხტებოდა, რის გამოც წყალი იგრიალებდა. აი ეხლაც კნეინას ეჩქარება და, ეს უსვინდისო პირისაბანი კი წყალს არ უშვებს.

— აი, შენ-კი გავერანდი, შენა! ლამის ხელები დამისეროს!.. უი ქა! შიგ შემიხტა, დაგწყევლოს ჩემმა გამჩენმა! წარმოსთქვა გაჯავრებულმა კნ. მართამ და ჩაყო ხელი პირისაბანში. დიდხანს აფათურა წყალში ხელი, მინამ ნახვრეტი უპოვა და გამოაძვრინა ისევ ღერო. მოაყოლა პირსაბანმა ისევ ჩხარა-ჩხური, და როგორც იყო კნეინამ მიიბან-მოიბანა ლოყები, შუბლი და ნიკაპი... ჩაიცვა, თავიც მალე მიიკაზმ-მოიკაზმა ჩიხტალეჩაქით.

— უიჰ, ქა! კოპი რა მექნა? ბიჭო გიგლა, კოპი სად არის?

ილო

(გაგრძელება იქნება)

დროა გონს მოვიდეთ!

(„ხარფუხის საზოგ. კლუბის“ მამასახლისთა საბჭოს საყურადღებოდ *)

ჩვენ ქვემოთ ამის ხედის მოიწერთ „ხარფუხის“ კლუბის წევრთ გვაქვს პატივი განვაცხადოთ შემდეგი: ერთ საუკუნეზე მეტია რაც ჩვენ, ქართველები გადაგვარება-გადაშენების გზას გადგავართ, რის გამოც შიუხედავად იმისა, რომ თუმცა ჩვენ სამშობლო ქვეყანაში ვცხოვრობთ— ჩვენ მოწყვეტილი ვართ ჩვენს ქვეყანას და სრულიად არ ვიცნობთ მას: ჩვენი დედ-ენა აქამდი-

ხინ განდეგნიდა, როგორც სოდლებიდან, ისე ოჯახებიდან, არ ვიცნობთ ჩვენს საგუთარს თავს, ჩვენს წარსულ ცხოვრებას, ჩვენს დიტერატურას.

მერე, ბატონებო, რადგმდის უნდა კაკრძალდეს ჩვენი ასეთი საგადადო და სიბედისწერო მდგომარეობა? ნუ თუ დღეგანდელმა ბოდიდიო შერეულამ და სისლდის წვიმებმაც არ უნდა გამოგვიფხიზლოს?! ერთხელ და სამუდამოთ უნდა შეგიგნოთ ის, რომ ჩვენი ფუქსავატური ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი ჩვენი უსუსურობა-უტოდინარობაა ჩვენი მშობელი ქვეყნისა!

მოგეხსენებათ აგრედვე, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი უფრო გონებრივ საზრდოს და გასართობებს ეტანება და დოტო-სინემატოგრაფს მაგრე რიგად არ სწყალობს, რის დამამტკიცებელი ისიცაა, რომ ჩვენს კლუბში ქართულ წარმოდგენებს უფრო ბდომად ესწრება, ისე კი არა. ამიტომაც საჭიროა ჩვენ ისეთი საშუალება და ზომები მივიღოთ, რომ მეტი სალხი მივიზიდოთ; ამისათვის კი საჭიროა მხოლოდ შეგნება და გაგება იმისა, რომ ჩვენი კლუბი, ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ ერისათვის, უნდა განსხვავდებოდეს სხვა არსებულ კლუბებისაგან, თვისი დადებით მხარეებით. იგი, როგორც ერთ-ერთი ჩვენი ერთგანულად ტაძართაგანი, უნდა ემსახურებოდეს და უხმარებოდეს ჩვენს ერს თვის საუკეთესო იდეალთა და მისწრაფებათა განხორციელებაში...

ამ-ჟე დროს ეს კლუბი იქნებოდა წასაბაძი და სამაგალითო სხვა დანარჩენ ჩვენი კლუბებისათვის. ამისათვის კი ერთ-ერთ საშუალებად ჩვენ მიგვაჩნია ქართული სისტემატიური დეკლიების მოწყობა, სამშობლო ქვეყნის ეთვალ მხრივ შესასწავლად, ე. ი. უნდა იკითხებოდეს ჩვენი ისტორია, დიტერატურა, გეოგრაფია და სხვ., რისთვისაც საკმარისია კლუბის დარბაზი 7—9 საათამდე—საღამოთი.

შეიძლება გვიბასუხონ, რომ ამ დეკლიების მსურველი ბევრი არ იქმნებაო,— შესაძლებელია ბერვულ ხანებში ასეც იყოს, მაგრამ ჩვენ უნდა შევეჩვიოთ საღხი თანდათან ამაებს და დარწმუნებულიც ვართ, რომ თუ კარგად მოწყობ დეკლიები—მსურველი ბევრი აღმოჩნდება ცოდნის შეძენისა.

ბ-ნებო, აბა რას გავს ის, რომ ჩვენი ინტელიგენცია საშუალო და უმაღლესი განათლებითაც კი აღგურვილი, სხვას რომ ეველაფერს თავი დავანებოთ, მწერალად განდაგთ მშობლიურ ენაზე დაბარაკსაც კი (არსებულ საუწყვლებლების მეოხებით, რასაკვირველია) და ნუ თუ სკოლის კარეშე მეცადინეობით ადარ უნდა შეგვეძლოს ამ ნაკლის ატილება?!

კლუბის წესდებაც ხომ გულისხმობს რეგორც რეფერატ-ლექციებს, აგრეთვე დიტერატურულ-მუსიკალურ დიდა-საღამოების გამართვას; მაშ რადა გვიშლის ხელს?

ჩვენი უკვდავ ერმა-ბაბუკ მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების ასი წლის თავი ჩვენ ამით მაინც ადვნიშნოთ...

ერთი წევრთაგანი **ერმ. კ—ი**

---

*) ამ განცხადებით მიმართა 22 წევრმა; საჭიროა „ახალი კლუბის“ წევრებმაც ხმა ამოიღონ და ასეთივე განცხადებით მიმართონ თავიანთ კლუბის მამასახლისთა საბჭოს, რათა ორივე კლუბი საერთო ძალღონით გაუძღვეს ამ ჩვენთვის ფრიად საჭირო ლექციების მოწყობას. ჩვენ გვგონია, რომ ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირის გამგეობამაც უნდა მიაქციოს ამას სათანადო ყურადღება, ვინაიდან დღეს ყველგან გაისმის ღაღადისი კურსების მოწყობის შესახებ, რომ მსურველს შეეძლოს აგრედვე მომზადება ქართული ენის მასწავლებლობისათვის! ე. კ.

წვრილი ამბები

ბ. ძუჩიშვილის დილა სახ. სახლში გაიმართება მარტის 5. ბილეთები—„განათლება“-ში იყიდება.

ძუთაისის დასი ბათომს ვეღარ მიდის, რაქუთაისის დრ. საზ. განაგრძობს სეზონს.

ბათომის დასში მიიწვიეს ა. ქიქოძე, ე. ციმაკურიძე, ან. ჩხეიძე, გ. ფრონისპირელი, მ. ჭიაურელი, კობახიძე, მოლაპარაკებაა ნ. გვარამ სთან.

ზესტაფონის კლუბის სასცენო ნაწილის ხელმძღვანელად ისევ ვ. ურუშაძე მიიწვიეს. მას სცენა გაულაზათიანებია.

სამტრედიის სცენის მოყვარეთა სახელმძღვანელოდ მიწვეული ვ. ბარველი უკვე გაემგზავრა და სეზონს დაიწყებს მარტის 5.

ახალი რომანი დასწერა ჩვენმა თანამშრომელმა გ. დათიაშვილმა, სახელად „პარმენ ნარიძე“ რომანის უმთავრესი გმირია გაორმაგებული ჩვენებური ინტელიგენტი, არც ქართველი, არც რუსი; ბევრის მოლაპარაკე, საქმიანობის უნარს მოკლებული; თეორიით საკაცობრიო იდეით გატაცებული, პრაქტიკულად უქნარი; დამნგრეველი და არა აღმაშენებელი.

ს. ხაშმის წ. კ- ს. განყოფ ლებამ გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღძრა წიგნთ-საცავ-სამკითხველოს დასაარსებლად.

ბახვის სამკითხველოს ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ თავის ფასით გაუწერა ივ. ძიძიშვილმა.

„თეატრი და ცხოვრების“

ფონდის გასაძლიერებლად

1, **დ. ლუკაშვილისგან** — — — 1 მან.
2, **სოსიკო ბარათაშვილისგან** — 12 მან.

რედაქცია შემომწირველთ გულითად მადლობას უძღვნის.

დამფუძნებელნი

კავკასიის საგაჭრო-სამრეწველო ბანკისა, რომელსაც

მინისტრის განკარგულების ძალით ეწოდება

„ამიერ-კავკასიის ბანკი“

ამით აუწყებენ აქციების პატრონთ, რომ ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებულ წესდების §§ 63 და 64 ძალით, პირველი საზოგადო კრება ბანკის აქციონერებისა დანიშნულია მარტს 1917 წ. ტფილისში დილის 11 საათზედ ბანკის ბინაზედ—ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5 (ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ახალ შენობაში)

საგანი განხილვისა:

1 **საორგანიზაციო კომიტეტის ანგარიში**

2. **საბჭოს წევრთა რიცხვის მომატება.**

3. **საბჭოს წევრთა არჩევანი.**

4. **1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.**

5. **ბანკის საჭიროებისათვის უძრავ მამულების შეძენის შესახებ მოხსენება.**

6. **გამგეობის სამის წევრის არჩევა.**

7. **სარევიზიო კომისიის 5 წევრის არჩევა.**

ბბ. აქციონერთა საყურადღებოდ ვაცხადებთ:

ყველას, ვისაც-კი შეუძენია ბანკის აქცია, ნება აქვს დაესწროს საზოგადო-კრებას, ხოლო ხმის უფლება მარტო იმ აქციონერსა აქვს, რომელსაც **ათს** აქციაზედ ნაკლებ არ ეკუთვნის. ყოველ ათს აქციაზედ პატრონს ერთის ხმის უფლება აქვს, მაგრამ ამასთანავე რაც უნდა ბევრი ჰქონდეს აქცია, მაინც აქციონერთა საზოგადო კრებაზედ იმაზედ მეტს ხმას ვერ მიიკუთვნებს, რაც გადააჭარბებდა კრებაზედ დამსწრე წევრთა ხმების ერთს მეათედს (56)

მთავრობისა, საზოგადო და კერძო დაწესებულებანი, საზოგადოებანი და ამხანაგობანი ხმის უფლებას თავიანთ კანონიერ წარმომადგენლთ აძლევენ (57)

იმ აქციონერებს, რომლებსაც ათს აქციაზე ნაკლები აქვთ, შეუძლიანთ შეაერთონ თავიანთი აქციები, ზოგადის ვექილობის ძალით, რათა მიიღონ უფლება ერთი ან მეტის ხმისა იმ საღვრამდე, რომელიც მოხსენებულია 55—ში(57).

რომელ აქციონერსაც ხმა აქვს, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლიან კრებას დაესწროს ნება აქვს, თვისი უფლება ისეთს სხვა აქციონერს გადასცეს, რომელსაც აქვს ხმა, მაგრამ ერთსა და იმავე აქციონერს საზოგადოდ არ შეუძლიან ორ ვექილობაზედ მეტი ვექილობა იქონიოს.

შენიშვნა: ვექილობა ხმის გადაცემისათვის უნდა შესდგეს წერილის სახითა და გადაეცეს ამიერ-კავკასიის ბანკის დამფუძნელთ სამის დღით ადრე საზოგადო კრებამდე ხელის მოწერა ვექილობაზე უნდა შემოწმებულ იქმნას მთავრობის საზოგადო დაწესებულებათა ან პირთ მიერ. საზოგადო კრებაზედ შესასვლელი ბილეთების მიღება შეიძლება ბანკის კანცელარიაში 4 მარტს. დილის 10 საათიდან დაწყებული (2)

ახალი კლუბი

1 კვირის პრო-
თებ. 26-5 მარ.

კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ოთხშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

სამშაბათი — საოჯახო საღამო

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

შაბ. — საოჯახო საღამო

კვირა — რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დასაწყისი: კონცერტებისა საღამ. 9 სათ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ სა. **შესას.** ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ.

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

უცხო სიტყვა თა ლექსიონი

შედგენ. იოსებ იმედაშვილის მიერ, მეორედ შევსებულ-შესწორებული. მოვარაყებული ყდით, ხელის მოწერით ღირს 2 მ. 50 კ. გაწერვა კიდევ შეიძლება: Тифлисъ. ред. „Театри да Цховреба"—Іос Имедашвили.

(10—3)

ხარფუხის საზოგადო კლუბი

ოთხშაბათი — სინემატოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი — სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

ოთხშაბათი — ქართული წარმოდგენა,

ხუთშაბათი — ოპერეტა რუსულ ენაზე.

პარასკევი — საოჯახო საღამო

შაბათი — რუსული წარმოდგენა

კვირა — სიმებიანი ორკესტრი

შესასვლელი ფასი: ქალები და სტუდენტები — 25 კ. მამაკაცნი 50 კ.

დასაწყისი: წარმოგენა — კონცერტების — სინემატოგრაფ — საღ. 8 ნახ. ს.

V წ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის V წ.

სათეატრო-სალიტერატურო, სამახტვრო
კვირეული ჟურნალი

თეატრი და ცხოვრება

(წედიწადი მეხუთე)

გამოვა სრული პროგრამით, უკვე ცნობილი რედაქციით

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ ოქრ პრემიას

აკაკის „ნაკუწნები და ბრძნული სიტყვები" ავტორის სურათებით, ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჭ. ლომთათიძის „რჩეული აზრები" ავოტრის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.

ჟურნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულეაისა

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დაისახურებული და ხალგაზრდა ნიჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსები, მუსიკოსები, ამხატვრები

ჟურნალის ფასი ორივე პრემიით წედიწადში ღირს **8** მან. ნახევარის წლით, მან. **50** კაპ. თითო ნომერი ეუფლგან **15** კაპ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 3 მ., 1-მაისამდე — 3 მ. 1-ელ ენკენისთვემდე 2

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სოროპანის" **სტამბის კანტორაში** (მადათოვის კუნძული, № 1, ვორონცოვის მეორე ხიდის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უადა გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: **Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба" Іосифу Имедашвили** რედაქტორ-გამომცემელ **ანნა იმედაშვილისა**

რედ-გამ. ანნა იმედაშვილისა Дозволено Военной Цензурой **სტამბა „სოროპანი"**